ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2811972

ნომერი: AR1435057

თარიღი : 25.08.2016

გაცემის თარიღი : 01.09.2016

გაცნობის თარიღი : 02.09.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან ჯმუხაძე პ/ნ 01024034699
- ქ. თბილისი, ვეძისი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ლანდშაფტური მშენებლობა
  კორექტირება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია ,რომლითაც გსურთ რელიეფის დონეთა სხვაობის გამო (რთული რელიეფით განპირობებული არათანაბარი სიმაღლის ნიშნულების გამო) საყრდენი კედლის მოწყობა . საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ არასწორად იქნა შერჩეული დაგეგმილი სამუშაოებისასთვის საჭირო ნომენკლატურა, აღნიშნული არ წარმოადგენს პირველი კლასის კორექტირებას და არც ლანდშაპტურ მშენებლობას, აღნიშნული წარმოადგენს ისეთ საინჟინრო ნაგებობას , დამცავ კედელს, რომელმაც უნდა იტვირთოს გრუნტის ჩამოშლისა და შემდგომში აღნიშნულ ნაკვეთის უსაფრთხო ექსპლუატაცია ან ასევე მისი შემდგომი განვითარება.

აღნიშნულის გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოები როგორც მიწის მოჭრა და საყრდენი კედლის მშენებლობა ვერ განიხილება I კლასის ობიექტად მითუმეტეს რომ 2014 წლის 3 დეკემბერს საქართველოს მთავრობის #655 დადგენილების თანახმად შეტანილი იქნა ცვლილება 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებაში «მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ» მუხლი 65–მემუხლის მე-3 და 4 პუნქტებში. აქედან 3 პუნქტის გათვალისწინებით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მიიღოს გადაწყვეტილება I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების ასაშენებლად მშენებლობის ნებართვის საჭიროების თაობაზე ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური თვლის, რომ საყრდენი კედელი არის ისეთი ობიექტი რაც საჭიროებს მშენებლობის ნებართვას.

ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (გარდა განსაზღვრული გამონაკლისებისა). ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინასტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის შემდგომ (I სტადია), გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები შესაბამისად.

პირველი სტადიის დასრულების შემდგომ სამსახურის მისამართზე www.tas.ge უნდა აირჩიოთ მშენებლობის ნებართვა სამეურნეო და საწარმოო ობიექტები–მშენებლობის ნებართვა–სამეურნეო და საწარმოო ობიექტები–• და შეარჩიოთ „დამცავი ღობე" ან „დამხმარე ტექნიკური ნაგებობები:– ახალი მშენებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით თქვენს მიერ დაგეგნილი სამუშაოები არ წარმოადგენს პირველ კლასს და შესაბამისად ნომენკლათტურა არ გაქვთ სწორად შერჩეული, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ამ ეტაპზე თქვენი მოთხოვნა საყრდენი კედლის მოწყობასთან დაკავშირებით.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.